პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 268 (11879)

პარასკევი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ერისკაცობა ბიბლიოთეკა

ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას, მუშებსა და მოსამსახურეებს უნივერსიტეტის საზეიმო გახსნას.

აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხები აწარმოებენ შეუპოვარ ბრძოლას თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ისპობა კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემა, მკვიდრდება ახალი საზოგადოების ცხოვრების უფრო პროგრესული და სამართლიანი ფორმები. ქვეყნები, რომლებმაც ადრე მოიპოვეს, მთელ ძალღონეს ახმარენ იმას, რომ აღმოფხვრან ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, აამაღლონ თავიანთი ხალხების ცხოვრების დონე.

საბჭოთა კავშირი, ასრულებს რა დიდი ლენინის ანდერძს, უანგარო დახმარებას უწევს ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ხალხებს ამათ ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობაში, ეროვნული კადრების მომზადებაში. საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს ავღანეთის, ბირმის კავშირის, გვინეის რესპუბლიკის, ირაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ინდოეთის რესპუბლიკის, იორდანიის, ინდონეზიის რესპუბლიკის, ერაყის რესპუბლიკის, ტუნისის რესპუბლიკისა და ბევრი სხვა ქვეყნის ახალგაზრდობა.

გაუწია რა ანგარიში აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების პროგრესულ საზოგადოებრივ და მთავრობის წრეებს, აგრეთვე ცალკეულ ადამიანებს, რომლებმაც არაერთგზის გამოთქვეს აზრი, რომ გაფართოვდეს მათი ეროვნული კადრების მომზადება საბჭოთა სასწავლებლებში, სსრ კავშირის მთავრობამ მხარი დაუჭირა საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინადადებას, რომ ქალაქ მოსკოვში დაარსებულიყო ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი. ამასთან საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებდა, რომ ყოველ ხალხს, ეროვნული და რასობრივი განსხვავების მიუხედავად, შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს კაცობრობის საერთო პროგრესის საქმეში თავისი ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების ყოველმხრივი განვითარების გზით.

ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი მოწოდებულია მომამზადოს მაღალკვალიფიციური ინჟინრები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მასწავლებლები, ექიმები, ეკონომისტები და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა დარგების სპეციალისტები. უნივერსიტეტის სტუდენტებს შექმნილი აქვთ საჭირო პირობები წარმატებით სწავლისა და კულტურული ცხოვრებისათვის.

უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადებისათვის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი გამოიყენებს საბჭოთა უმაღლესი სკოლის მუშაობის მრავალი წლის გამოცდილებას და მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო უსურვებენ ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სტუდენტებს პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის დახმარებით მიაღწიონ დიდ წარმატებებს მოწინავე მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დაუფლებაში. რათა მიღებული ცოდნა ნაყოფიერად გამოიყენონ თავიანთი ქვეყნების ეკონომიური და კულტურული აღმავლობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

მათ მეგობრობა უკაფავს გზას მეცნიერებაში

ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება

სსრ კავშირის დედაქალაქში ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივითა და საბჭოთა მთავრობის გადწყვეტილებით შეიქმნა ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი. ჩვენი სახელმწიფოს კეთილშობილურმა მიზანმა — დახმარება გაუწიოს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს ეროვნული კადრების მომზადებაში, გულის სიღრმემდე გაახარა ამ ქვეყნების ქალაშვილები და ჭაბუკები.

უნივერსიტეტის გახსნა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად მიიჩნია საზღვარგარეთის ქვეყნების ბევრ სახელმწიფო დელეგაციებში პრესაში დაბეჭდა მისალმებანი, რომლებშიც ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობის დიდსულოვანი აქტი შესაძლებლობას მისცემს ინდოეთისა და კუბის, ინდონეზიისა და განის, პანამისა და მალის, იამნიისა და გვინეის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს, 59 ქვეყნის წარმომადგენლებს დაეუფლონ ცოდნის მწვერვალებს: გახდნენ ინჟინრები, ექიმები, აგრონომები, ეკონომისტები, იურისტები, ისტორიკოსები, ფილოლოგები.

17 ნოემბერი არაჩვეულებრივი, განსაკუთრებით სასიხარულო დღე იყო ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის — ერთადერთი თავისებური სასწავლებლის სტუდენტთა და მასწავლებელთა ცხოვრებაში.

...გაჩირაღდნებულია კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი. აქ, ამ უმაღლესი სასწავლებლის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე მოვიდნენ სხვადასხვა ხალხის შვილები. ისინი სხედან თავიანთ საბჭოთა ამხანაგებთან, უცხოელ ქალაშვილებთან და ჭაბუკებთან ერთად, რომლებიც მოსკოვის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, ადრბაზში არიან საბჭოთა საზოგადო მოღვაწეები, ესწრებიან აფრიკა-აზიის სახელმწიფოებისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების საელჩოთა მეთაურები და თანამშრომლები.

მჭუხარე ტაშით ხვდებიან შეკრებილნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს კ. ე. ვოროშილოვს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს ვ. პ. ელიუტინს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ა. ნ. ნესმეიანოვს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ა. ვ. ტოპჩიევს, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარეს ვ. ვ. გრიშინს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს გ. ა. ეუკოვს, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოპოვას, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ა. ვ. სოფრონოვს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნებს, ს. პ. პაველოვსა და მ. ი. ჟურავლიოვს, სსრ კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარეს პ. ნ. რეშეტოვს, ინდონეზიის ეროვნული უნივერსიტეტის „გაჯა მადას“ პრეზიდენტს სარჯიტოს, განის კოლეჯის დირექტორს დოქტორ ამეგაშს, ბომბეის უნივერსიტეტის პროორექტორს ჯნანო კარას, კუბის უნივერსიტეტის პროორექტორს ხემენესსა და სხვებს.

შესავალ სიტყვას ამბობს უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ს. ვ. რუმიანცევი.

შეკრებილთა ტაშის გრიალში პროფესორმა რუმიანცევმა განაცხადა, რომ ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის საბჭო და უნივერსიტეტის კოლექტივი მხურვალე მადლობას უძღვნიან საბჭოთა მთავრობასა და მის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვს უდიდესი დახმარებისათვის, რომელმაც საშუალება მისცა უნივერსიტეტს განსაკუთრებით მოკლე ვადაში ჩამდგარიყო მოქმედ უმაღლეს სასწავლებელთა მწყობრში.

სიტყვა ეძლევა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოპოვას. იგი გამოდის უნივერსიტეტის დამაარსებელთა — აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის, მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირისა და საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს სახელით.

შეეხო რა დიდ ცვლილებებს ხალხთა ისტორიულ ბედში, ნ. ვ. პოპოვამ განაცხადა:

— თქვენ შეიკრიბეთ აქ ყველაზე შორეული ქვეყნებიდან და სახელმწიფოებიდან. ბევრი ეს დამოუკიდებელი სახელმწიფო გუშინ არც კი იყო აღნიშნული დედამიწის რუკაზე. თქვენ თან მოგაქვთ მსოფლიოს სიახლალაზრდავე და მისი მომავალი. თქვენ იწყებთ დაძაბულ სწავლას. თქვენს წინაშე გადაიშლება ადამიანის შრომითა და გენიით მოპოვებული ცოდნის საგანძური. ერთგულად ემსახურეთ შენს ხალხს, შენს სამშობლოს და ბეჯითად იშრომეთ ამისათვის, ყველაფერ მეცნიერების მწვერვალებს, — რა შეიძლება იყოს ამ ამოცანაზე უფრო საპატიო.

თავისი უმცროსი ძმის, ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის დაბადებას მხურვალედ მიესალმა რუსეთის უძველესი უმაღლესი სასწავლებლის — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ი. გ. პეტროვსკი.

მიმართა რა სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებს, აკადემიკოსმა პეტროვსკიმ უსურვა მათ წარმატება სწავლაში. მინდა გისურვოთ აგრეთვე, ამბობს იგი, რომ ჩვენთან ყოფნის დროს უფრო ახლოს გაეცნოთ ჩვენს ქვეყანას, რათა ნახოთ, თუ როგორ ცხოვრობთ. ვმუშაობთ, ვისვენებთ, ვერთობით ჩვენ, საბჭოთა ადამიანები.

დიდი სიხარულისა და მადლობის გრძნობა გამოთქვა ჯაკარტის (ინდონეზია) ეროვნული უნივერსიტეტის „გაჯა მადას“ პრეზიდენტმა პროფესორმა **სარჯიტომ** ამის გამო, რომ მას შესაძლებლობა მიეცა დასწრებოდა საზეიმო ცერემონიას. ჩემი სიხარული, ამბობს იგი, განსაკუთრებით სასიამოვნოა, თუ გავიხსენებთ, რომ სწორედ „გაჯა მადას“ დათვალიერების დროს პრემიერ-მინისტრმა ხრუშჩოვმა პირველად განაცხადა, რომ განზრახვა აქვს გახსნას მოსკოვში ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი.

აფრიკის შვილი ამ კრებაზე ხედავს, თუ როგორ იხსნება ახალი ფურცელი ისტორიაში, — ასეთი აზრი გამოთქვა თავის გამოსვლაში განის ადმინისტრაციულ მუშაკთა მომზადების მთავარი კოლეჯის დირექტორმა რ. ს. **ამეგაშმ**. ახლა შეუძლებელია უგულებელყოონ აფრიკა, ამბობს იგი.

დოქტორმა ამაგაშმ აღნიშნა, რომ მეგობრობის უნივერსიტეტში აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის შვილებს შესაძლებლობა ეძნებათ ისწავლონ სხვა ქვეყნების სტუდენტებთან ერთად, ისინი ისწავლიან რუს სტუდენტებთან ერთად. ამიტომაც, გადადგმენ დიდი ნაბიჯი ქვეყნებს შორის ურთიერთგაგების დამყარებისათვის.

ბელეი სტუმრის შემდეგ გამოვიდა ბომბეის უნივერსიტეტის პროორექტორი პროფესორი ვ. ჯხანოკარი.

ბომბეელმა პროფესორმა უაღრესად გულწრფელი სალამი გადასცა ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტს და უსურვა მას ყოველგვარი წარმატებანი მის კეთილშობილურ საქმიანობაში.

ინდოელი პროფესორი ტრიბუნაზე შესცვლა ბრაზილიის საზოგადო მოღვაწემ **მარია დე ლა კოსტამ**. მან აღტაცებით ილაპარაკა მოსკოვში ყოფნაზე და განაცხადა:

ყველა ჩვენგანისათვის დღევანდელი დღე დღესასწაულია, ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ოფიციალური გახსნის დღეა. ეს დღე სამუდამოდ დარჩება ყველა ჩვენგანის მეხსიერებაში და გულში.

მარია დე ლა კოსტა, როგორც დირექტორი ბრაზილია-სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების კულტურის სექციისა, აღუთქვამს შეკრებილთ, რომ ბრაზილელები მთელ ძალღონეს მოახმარენ ორივე ქვეყნის კულტურული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

ნიკიტა სერგეი-ძე ხრუშჩოვმა მაგრად, გულითადად ჩამოართვა ხელი ყველა საზღვარგარეთელ სტუმარს, რომლებიც ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის გახსნაზე ჩამოვიდნენ.

მოსკოვის სტუდენტთა სახელით სიტყვას ამბობს მოსკოვის პაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტი **სვეტლანა სოლოვიევა**, რომელმაც მხურვალედ მიულოცა უნივერსიტეტის სტუდენტებს ჩვენს ქვეყანაში ახალი სასწავლებლის გახსნა.

უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელით ვულუთადად მიესალმა დამსწრეებს ნიგერიელი სტუდენტი **ლასინი ადამს ოსუნდე**. დღევანდელი დღე, თქვა მან, ისტორიაში შევა როგორც მორიგი დადასტურება იმ განსაკუთრებული დახმარებისა, რომელსაც საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ხალხი უწევენ სუსტად განვითარებულ ქვეყნებს. ნიგერიელმა სტუდენტმა დიდი მადლობა უძღვნა სსრ კავშირის მთავრობასა და ხალხს, ამბ. ნ. ს. ხრუშჩოვს, რომლის ინიციატივით შეიქმნა ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი.

ახალგაზრდა აფრიკელმა თავისი გამოსვლის დასკვნითი სიტყვები რუსულად წარმოთქვა. იგი მივიდა ნ. ს. ხრუშჩოვთან, რომელიც მამობრივად მოეხვია მას, ქალიშვილებსა და ჭაბუკებში გაისმა შეძახილები: „ხრუშჩოვი!“, „მეგობრობა!“.

სიტყვას ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც დამსწრენი მჭუხარე ტაშით ხვდებიან. მას სიტყვა მრავალგზის შეაწყვეტინეს ტაშით. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის კოლექტივისადმი.

დარბაზში რამდენიმე წუთს გრიალებდა ოვაცია. ახალგაზრდობა ტაშს უკრავს მაღლა აწეული ხელით. ზოგიერთი აქნევს ხელს, ეროვნულ ქუდს.

ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სტუდენტთა წერილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი კითხულობს **კუბელი** სტუდენტი **ანიბალ პენტონი**. ნიკიტა სერგეი-ძეს მეგობრულად ჩამოართვა ფაფ ხელი.

უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ს. ვ. რუმიანცევი ამბობს, რომ უნივერსიტეტის საბჭომ გადაწყვიტა ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის დაარსების აღსანიშნავად პირველი სამახსოვრო მედალით დაჯილდოვოს ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვი. ხანგრძლივი ტაშის გრიალში ს. ვ. რუმიანცევმა მედალი და მისი დიპლომი გადასცა ნ. ს. ხრუშჩოვს.

ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სახელზე მოღებულია უამრავი დეპეშა და წერილი. რექტორმა ს. ვ. რუმიანცევმა მადლობა უძღვნა ყველას, ვინც კეთილ სურვილები გამოგზავნა, და განაცხადა, რომ უნივერსიტეტის კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს, რომ გადაჭრას მის წინაშე დასახული ამოცანები.

დარბაზში ღიღინს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება.

შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა და ხელოვნების ოსტატებმა.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის გახსნის გამო

1960 წლის 17 ნოემბერს

პატივცემულო მეგობრებო — სტუდენტებო, მასწავლებლებო და პროფესორებო! პატივცემულო სტუმრებო!

ნება მიბოძეთ საბჭოთა მთავრობის სახელით მოგილოცოთ ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის გახსნა. **(მჭუხარე ტაში)**.

უმაღლესი განათლება დიდი სიკეთეა. წარსულში, და ახლაც კაპიტალისტურ ქვეყნებში, უმაღლესი განათლების მიღება შეუძლია ადამიანებს მქონებელი კლასებიდან. ბურჟუაზია, მემამულეები ასწავლიან თავიანთ შვილებს, რათა ჰყავდეთ საკუთარი ერთგული კადრები. ასე იქცევიან კოლონიზატორებიც. ისინი არჩევენ ახალგაზრდობას მქონებელი ოჯახებიდან, რათა ჰყავდეთ თავიანთი ადამიანები იმ ქვეყნებში, სადაც ისინი პარპაშობენ. კოლონიზატორები, რა თქმა უნდა, დაინტერესებული არ არიან, რომ განათლება მისცენ ადამიანებს მშრომელთა ოჯახებიდან, ადამიანებს, რომლებიც სურთ ემსახურონ თავიანთ ხალხს და არა უცხოელ ექსპლოატატორებს.

საბჭოთა მთავრობამ შექმნა მოსკოვში ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი, რათა შესაძლებლობა მისცეს ახალგაზრდა, უნარიან ქალაშვილებსა და ჭაბუკებს აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ისწავლონ, შეიძინონ უმაღლესი განათლება. ჩვენ ეს ვქენით, რათა მშრომელთა შვილებს, რომელთაც არ ძალუძთ განაგრძაურონ თავიანთი განათლება, შეეძლოთ შეიძინონ უმაღლესი განათლება, შეიძინონ ცოდნა, სპეციალობა, მაღალი კვალიფიკაცია, რათა უკეთ ემსახურონ თავიანთ ხალხს, თავიანთ ქვეყანას, მის აღმავლობასა და აყვავებას.

ჩვენი სახელმწიფოს დამაარსებელი დიდი ლენინი მუდამ გამოდიოდა მთელი მსოფლიოს ხალხთა მეგობრობის მხურვალე დამცველად. ჩვენი ქვეყნის ისტორიულ მისიად მას ის მიაჩნდა, რომ დახმარებოდა ჩაგრული ქვეყნების ასეულ მილიონობით ადამიანს მოეპოვებინათ თავიანთი დამოუკიდებლობა, აღმოეფხვრათ ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, რაც მათ მემკვიდრეობად დარჩათ მძიმე კოლონიური ჩაგვრის შედეგად.

ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ისტორიულ დროს, როცა ხალხების შეტევით იმსხვრევა კოლონიალიზმის უკანასკნელი ბასტიონები. სულ ახალი და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები ჩნდებიან დედამიწაზე.

შეხედეთ აზიას. იქ დარჩა მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა და ტერიტორია, სადაც ჯერ კიდევ არის კოლონიური რეჟიმი. შეხედეთ აფრიკას. მარტო წელს აფრიკის თვქვსმეტმა ახალმა ქვეყანამ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა. ან აიღეთ სახალხო რევოლუციის გამარჯვება კუბაში. იგი წარმოადგენს ლათინური ამერიკის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატების შესანიშნავ მაგალითს.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ მალე დამოუკიდებლობას მოიპოვებს ყველა ხალხი, რომლებიც ჯერ კიდევ განიცდიან კოლონიურ ჩაგვრას.

უცხოელთა უღლისაგან განთავისუფლებული ხალხები საკუთარი გამოცდილებით რწმუნდებიან, რომ ისინი წარმატებით ვერ განვითარებენ თავიანთ ეკონომიკასა და კულტურას, თუ არ ეყოლათ საკუთარი ეროვნული კადრები. სპეციალისტთა ეროვნული კადრების მომზადება საარსებო მოთხოვნილება გახდა განვითარების დამოუკიდებელ გზაზე დამდგარი ხალხების ცხოვრებაში.

საბჭოთა ხალხისათვის, რომელმაც ისტორიულად მოკლე დროში თავისი ქვეყანა გადააქცია მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, ახლობელი და გასაგები აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა მისწრაფება შექმნან განვითარებული ეროვნული ეკონომიკა, ჰყავდეთ საკუთარი ინჟინრები, აგრონომები, ექიმები, მეცნიერები, რომელთაც შეეძლებათ სრულფასოვანი წვლილი შეიტანონ თავიანთი სახელმწიფოების განმტკიცებისა და განვითარების საქმეში.

ზოგ ვისმეს კაპიტალისტურ ქვეყნებში ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის შექმნაც კი სურს წარმოადგინოს საბჭოთა კავშირის ახალ ხრიკებად. დაე ილაპარაკონ თავისთვის — ჩვენ ამას შეჩვეულნი ვართ. მაგრამ ყველა პატიოსანმა ადამიანმა იცის, რომ ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის შექმნა მხოლოდ კეთილშობილურ ჰუმანურ მიზნებს ისახავს. **(ტაში)**.

საბჭოთა სახელმწიფომ თავისი ქვეყნის ახალგაზრდობას შეუქმნა ყველა შესაძლებლობა სწავლისათვის, განათლებისათვის, იმისათვის, რომ იგი ვითარდებოდეს და იზრდებოდეს ჯანსაღი, ღონიერი, ჭკვიანი. ჩვენ ახლა გვყავს ჩვენი სახალხო ინტელიგენცია, რომელსაც უნარი შესწევს სასწაულები მოახდინოს თავისი ხალხისათვის, თავისი ქვეყნისათვის, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის საქმისათვის.

ვხსნით რა ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტს, ჩვენ გვსურს მხოლოდ ერთი რამ — დავეხმაროთ სხვა ქვეყნებს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში. ეს განსაკუთრებით საჭიროა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც დიდხანს განიცდიდნენ მძიმე კოლონიურ ჩაგვრას და კოლონიზატორთა დანაშაულით ჩამორჩნენ ეკონომიურად და კულტურულად, არა ჰყავთ სპეციალისტთა საკუთარი ეროვნული კადრები.

დაე ამ ქვეყნების ახალგაზრდა ადამიანები ჩამოვიდნენ მოსკოვში, ისწავლონ, დაეუფლონ თანამედროვე მეცნიერებასა და კულტურას, იცხოვრონ და აღიზარდონ ერთმანეთისადმი პატივისცემით. დაე ნუ იქნება თქვენს შორის მტრობა და განმტკიცდეს მეგობრობა თქვენს შორის, მიუხედავად იმისა, რომელი ქვეყნიდან ჩამოხვედით აქ. ჩვენ აქ უზრუნველყოფთ ყველა შესაძლებლობას ცოდნის შესაძენად.

რა თქმა უნდა, არც ერთ სტუდენტს თავს არ მოვახვევთ ჩვენს შეხედულებებს, ჩვენს იდეოლოგიას. მსოფლმხედველობა ხომ უაღრესად ნებაყოფლობითი საქმეა. თუ თქვენ გინდათ იცოდეთ ჩემი პოლიტიკური რწმენა, არ დაგიმალავთ, მე კომუნისტი ვარ და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველაზე მოწინავე იდეოლოგია მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიაა. **(ტაში)**. თუ ვინმე თქვენთაგანი დარწმუნდება, რომ ასეთი იდეოლოგია მას მოსწონს, ჩვენ ეს არ გვეწყინება. **(ტაში)**. მაგრამ ჩვენ არ გვეწყინება, თუ თქვენ არ გახდებით კომუნისტები, მაგრამ მუდამ იქნებით პატიოსანი ადამიანები, თუ თქვენ შეიძენთ ცოდნას და თქვენს ცხოვრებას მოახმართ თქვენი ხალხის ერთგულ სამსახურს და არა ფულის ქისას, არა ოქრის კერპს. **(ტაში)**. თქვენი ხალხისადმი თავდადებული სამსახურით გაამართლებთ თქვენი მშობლების, თქვენი ხალხების იმედს, რომლებმაც აქ გამოგგზავნეს სასწავლებლად.

ვიმეორებ, რომ თუ ვინმეს, ასე ვთქვათ, გადაედება დროის ეს „ავადმყოფობა“ — კომუნიზმი, გთხოვთ ჩვენ ნუ დაგვდებთ ბრალს ამ საქმეში. **(მჭუხარე ტაში)**.

ეს წელზე მეტი ხნის წინათ ჩაისახა ეს დიდი მოძღვრება — მარქსიზმი. მას შემდეგ იგი წარმატებით ვითარდება, და ახლა უკვე კაცობრობის ერთი მესამედი ცხოვრობს ამ მოძღვრების დროშის ქვეშ. ზოგიერთი ადამიანი, რომელიც არ ეთანხმება მარქსიზმის მოძღვრებას, უკვე ეს წელზე მეტია რაზმავს თავის ღონისძიებებს, რათა გამონახოს შხამსაწინააღმდეგო ამ „დაავადების“ წინააღმდეგ, რომ შეაჩეროს მისთვის ესოდენ საშიში მოვლენა — მარქსიზმის იდეების გავრცელება. მაგრამ ჩვენი მონაცემებით, შხამსაწინააღმდეგო ჯერ არ არის გამოგონებული **(ტაში)**.

ამიტომ, თუ რომელიმე თქვენთაგანი მოისურვებს გამონახოს მიზეზები, გაიგოს, თუ რატომ ავადდებიან ადამიანები კომუნიზმით, ინებეთ, შეგიძლიათ ამას მოახმაროთ თქვენი ღონისძიებანი. ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტის რექტორი და პროფესორები დაგეხმარებიან გამოიყენოთ მთელი შესაძლებლობანი, ყველა მონაცემი — ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, რათა მიაღწიოთ მიზანს, რომელსაც დაისახავთ.

მაგრამ მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ჩვეულებრივ მეცნიერ-ექსპერიმენტატორები, რომლებიც ამა თუ იმ ავადმყოფობას სწავლობენ, არ შეიძლება იყვნენ გარანტირებულნი, რომ მათ თვითონ არ გადაედებათ ეს ავადმყოფობა. **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში)**.

ოდესღაც მარქსმა და ენგელსმა თქვეს, რომ კომუნიზმის აჩრდილი დადის ევროპაში. ახლა ყველა ხედავს, რომ კომუნიზმის იდეები დადის, მთელ დედამიწაზე, რომ ისინი იმარჯვებენ **(ტაში)**. კომუნისტების „ავადმყოფობა“ ის არის, რომ მათ უყვართ მუშათა კლასი, გლეხობა, უყვართ მშრომელი ხალხი, გამოხატავენ მათ ინტერესებს და ებრძვიან მათ, ვინც არაფერს აკეთებს, არამედ იღებს სიკეთეს სხვების შრომის ხარჯზე. ჩვენი ბედნიერება, კომუნისტების ბედნიერებაა ბრძოლა ხალხთა, შრომის ადამიანთა საქმისათვის. **(ხანგრძლივი ტაში)**.

თავისი ქვეყნის ყველა პატიოსანი შვილის მოვალეობაა დაეხმაროს თავის ძმებს, მოუპოვოს ბედნიერება არა მარტო თავის თავს, არამედ მთელ ხალხს. და ნამდვილად ბედნიერი იქნება არა ის, ვინც ბედნიერებასა და კეთილდღეობას მოიპოვებს მხოლოდ თავისთვის, არამედ ის, ვინც დაეხმარება ბედნიერების მოპოვებაში მთელ თავის ხალხს, თავის სამშობლოს.

ჩვენ თქვენგან ცოტა რამ გვინდა: ისწავლეთ ბეჯითად, ნუ დაკარგავთ ტყუილუბრალოდ ნურც ერთ დღეს, გამოიყენეთ ყველა შესაძლებლობა, რომ კარგად დაეუფლოთ ცოდნას, შეისწავლოთ მეცნიერება და ტექნიკა. ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი ერთერთი საბჭოთა უმაღლესი სასწავლებელია, და მასში, ბუნებრივია, ისწავლიან აგრეთვე ჩვენი სტუდენტები, საბჭოთა კავშირის მოქალაქენი. რაღა ხალხთა მეგობრობა იქნებოდა, თუ ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში მხოლოდ უცხოელები ისწავლიდნენ? საბჭოთა ადამიანები ძმებსავით დაეხმარებიან თავიანთ ამხანაგებს — უცხოელებს უკეთ ისწავლონ. ერთობლივ სწავლაში განმტკიცდება ახალგაზრდობის დიდი მეგობრობა. ახალგაზრდობა კი კაცობრიობის მომავალია.

თქვენი უნივერსიტეტი ახლა იწყებს თავის პირველ ნაბიჯებს. აქ დამსწრე საზღვარგარეთელი სტუდენტები ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ახალგაზრდობის მხოლოთ პირველი რაზმია აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის 59 ქვეყნიდან. დაე იზრდებოდეს და ვითარდებოდეს მეგობრობის უნივერსიტეტი, ქმნიდეს თავის კარგ ტრადიციებს, ეხმარებოდეს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას. **(მჭუხარე ტაში)**.

(შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტისადმი).

მხურვალედ ვუსურვებ ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სტუდენტებს დიდ წარმატებებს მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დაუფლებაში.

გაუმარჯოს ხალხთა მეგობრობას! **(მჭუხარე ტაში)**.

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში)**.

საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში

საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა ორი გამოფენა — საქართველოს სსრ ხალხური შემოქმედებისა და გამოყენებითი ხელოვნების და სამხატვრო მრეწველობის ნაკეთობათა.

გამოფენებზე ექსპონირებულია ხელმარჯვეთა და გამოყენებითი ხელოვნების პროფესიონალი ოსტატების 1.200-ზე მეტი ნამუშევარი, რომლებიც გამოირჩევიან თემის მრავალფეროვნებითა და შესრულების გამოსახატველობით.

დიდი ოსტატობით შეუსრულებია გორის რაიონის სოფელ ტყვიავის 62 წლის კოლმეურნეს შ. მარადაშვილს ქანდაკებები და ტილოები, კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის ეფდგოგს დ. ნაგოზაშვილს ნახატები და მოწაფე მ. ჩხარტიშვილს ე. ნინოშვილის პორტრეტი. სინატფით გამოირჩევიან ე. მამულაშვილის ორიგინალური ნამუშევრები, რომელიც არ ხმარობს საღებავებს და ყვავილების ფურცლებისგან ქმნის წარმტაც პეიზაჟებს, პორტრეტებსა და კომპოზიციებს.

გამოყენებითი ხელოვნებისა და სამხატვრო მრეწველობის ნაკეთობათა გამოფენაზე წარმოდგენილია კერამიკის ნაწარმოებები — თბილისის სამხატვრო აკადემიის სასწავლო-საექსპერიმენტო სახელოსნოს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საწარმოო კომბინატისა და სხვათა ნამუშევრები, ი. ოჩიაურის, გ. გაბაშვილის ვერცხლის ნაკეთობანი. ხის ჭურჭლის კომპლექსი, რომელიც გააკეთეს კულტურის სამინისტროს საწარმოო კომბინატის ოსტატებმა ა. ულენტის ხელმძღვანელობით, პლასტმასისა და მინაპლასტის ხაოჯახო ნივთები.

თბილისის საზოგადოებრიობის მრავალმა წარმომადგენელმა დიდი ინტერესით დაათვალიერა გამოფენის ექსპოზიცია.

17 ნოემბერს გამოფენა დაათვალიერეს ამხანაგებმა **ვ. პ. მეტალნიკოვმა, გ. დ. ჯაფარიძემ, ბ. ნ. ჯიბლაძემ**. (საქდესი).

„ჩვენ უკრაინიდ

ონელი კომუნისტები ამ დღეებში

შემოქმედებითი შრომის დღეებია შორეულ მთა სოფლებში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის აღსანიშნავად აქ ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ საკოლმეურნეო მინდვრის ნოვატორები. განსაკუთრებით სახელი გაითქვეს მეცხოველეებმა. სწორედ მათ შესახებ ვრცლად ილაპარაკეს ონის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე. საანგარიშო მოხსენებაში რაიკომის პირველმა მდივანმა ა. გოლეთიანმა აღნიშნა, რომ ონის რაიონის მშრომელებმა გასულ წელთან შედარებით წელს 1.534 ცენტნერით მეტი ხორცი და 1.120 ცენტნერით მეტი რძე აწარმოეს. რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოსათვის რძის, ხორცის, კვერცხისა და ტყავეულის მიყიდვის წლიური ვალდებულებანი ოთხი თვით ადრე შეასრულეს, რისთვისაც ორჯერ დაიმსახურეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მადლობანი.

მეცხოველეობის აღმავლობაში დაწინაურდნენ ნაკეთის, სევის, მთისკალთის, ფარახეთის, ბარის, შარდომეთის კოლმეურნეობები. მაგრამ ამ მხრივ ყველგან როდია საქმე კარგად. წელს შარშანდელთან შედარებით წველადობა შეამცირეს ჭიორის, სორის კოლმეურნეობებში.

რა ხილი, რა ჭირნახული არ გინდა, რომ რაონის ხეობის ნოყიერ მიდამოებში არ მოდიოდეს. მაგრამ დელეგატთა ერთი ნაწილი სამართლიან გულისტკივილს გამოთქვამდა: დღემდე ნაკლები ყურადღება ექცევა ბაღ-ვენახების გაშენებას, ხოლო რაც შენდება, ისიც მეტად უყაირათოდ. ბევრ კოლმეურნეობაში ცუდი მოვლა-პატრონობის გამო ხილის დაბალ მოსავალს იღებენ. ქვედისა და უწერის კოლმეურნეობებში კი სიმინდის, ხორბლის, კარტოფილის მოსავალი ყოველწლიურად მცირდება.

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ამ კოლმეურნეობათა გამგეობები და პარტიული ორგანიზაციები ღრმად ვერ სწვდებიან წარმოების ეკონომიკას, არ ავლენენ ახალ რეზერვებს და კონივრულად ვერ აწყობენ მოწინავე გამოცდილების განზოგადებას.

— როცა პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურად კომკავშირულთა, ახალგაზრდობის საქმიანობის კურსშია, — თქვა სიტყვით გამოსულმა სოფელ ბარის ფერმის გამგემ მ. ბეხიმემ, — მაშინ შედეგიც სასახელოა. მაგრამ ყოველთვის როდია ასე. ჩვენს კოლმეურნეობაში ახალგაზრდებთან მუშაობა მოიკოჭლებს.

— რაიონში ზოგჯერ სათანადო ყურადღება არ ექცევა საკოლმეურნეო მინდვრის სახელოვან ოსტატთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს. შორეული მთა სოფლები ცუდად არის მომარაგებული პირველი მოთხოვნილების საგნებით, — თქვა ქვედის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა, ფერმის გამგემ ყ. მაისურაძემ.

ბევრი ითქვა აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის მშვენების — კურორტების შოვისა და უწერის აწმყოსა და მომავალზე. დელეგატებმა აღნიშნეს, რომ უწერის წყალი ახლაც ისე ისხმება ბოთლებში, როგორც ეს ხდებოდა ოცი-ოცდაათი წლის წინათ. ამაზე ბევრჯერ დაისვა საკითხი ზემდგომ ორგანოებშიც, მაგრამ მის მოსაგვარებლად არაფერი კეთდება.

კონფერენციაზე ისიც აღინიშნა, რომ რაიაღმასკომის სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში ყველაფერი რიგზე როდია. დელეგატებმა კრიტიკული შენიშვნები გამოთქვეს საგზაო მშენებლობის, რაიკავშირის, კულტურის განყოფილების, ონის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო კანტორის საქმიანობაზე.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ახლებურად გარდაქმნის, ახალგაზრდობის აღზრდის, აგროტექნიკური ცოდნის დაუფლების, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადების, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ბ. მინდელმა, სევის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ა. გრძელიშვილმა, კომკავშირის რაიკომის მდივანმა მ. ჩიხრაძემ, სოფელ სორის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. კერვალიშვილმა, ონის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ლობჟანიძემ და სხვებმა.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. შ. ჭანუყვაძემ.

კონფერენციამ კომუნისტური პირდაპირობით ამხილა არსებული ნაკლოვანებანი და დასახა მათი გამოსწორების გზები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რაიონში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე, პირნათლად შესრულების საქმეს.

* * *

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი. პარტიის ონის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ა. გოლეთიანი, მეორე მდივნად — გ. ჩაგელიშვილი, მდივნად — ა. ბერიშვილი

ა. გოცირიძე,
ვ. ცირეკიძე.

გათუმელთა გმირობა

ბათუმელი ბოლშევიკები — ვრანგელის განადგურების აქტიური მონაწილენი

ბათუმი, 16 ნოემბერი. (საქდეზი). აჭარის მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან და შეიარაღებული ძალების მეომრებთან ერთად აღნიშნავენ ვრანგელის განადგურებისა და სსრ კავშირში სამოქალაქო ომის ძლევამოსილი დამთავრების 40 წლისთავს. ჩვენს ქვეყანაში უცხოელ ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა უკანასკნელი დასაყრდენის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში დიდი წვლილი შეიტანა ბათუმის გმირმა მუშათა კლასმა კომუნისტების მეთაურობით.

აჭარის ასსრ არქივებში აღმოჩენილია დოკუმენტები, რომლებიც მოგვითხრობენ მთელ რიგ მკაფიო ფაქტებზე, ბათუმის მშრომელთა და ბოლშევიკთა თავდადებულ დახმარებაზე წითელი არმიისადმი.

კომუნისტთა ჯგუფმა ს. მეძმარიაშვილის (გუბელი) მეთაურობით 1920 წლის აპრილში სამტრედია-ბათუმის უბანზე აფეთქა ხიდი მდინარე კინტრიშზე, რამაც შეაფერხა ვრანგელის მომარაგება ნავთობით, რომელსაც მენშევიკები, საბჭოთა რუსეთთან და აზერბაიჯანთან დადებული ხელშეკრულების წინააღმდეგ, საიდუმლოდ გზავნიდნენ ყირიმში.

ბათუმელ ბოლშევიკთა მეორე ჯგუფმა მოამზადა გემების „აღორძინებისა“ და „სინთალის“ აფეთქება, რომლებსაც ვრანგელთან მიმავალნდათ ნავთობი, საჭურველი და სურსათი. საბჭოთა სრულფლოვნებიან წარმომადგენელს თბილისში ს. მ. კიროვს შეატყობინეს, რომ განზრახული იყო ყირიმს გემ „ბოროსინო“ გადაეყვანათ მრავალი თეთრგვარდიელი ოფიცერი.

მენშევიკებმა ბათუმის პროფკავშირთა საბჭო მოსკოვის პოლიტიკურ შტაბად გამოაცხადეს, დაშალეს იგი, დახურეს გაზეთი „გოლოს ტრუდა“ და საპყრობილეში ჩასვეს პროფკავშირთა ხელმძღვანელი მოღვაწეები, მათ შორის დ. ა. მახარაძე, მ. ე. მარკმანი, ა. კ. კობიძე, გ. ლ. რამიშვილი და სხვები. ვერ გაბედეს რა ადგილზე განსწორებოდნენ მშრომელთა ხელმძღვანელებს, ოკუპანტებმა ინინგლისელთა დრედნოუტით კონსტანტინოპოლს გაგზავნეს. ბათუმელმა ბოლშევიკებმა რუსეთის კპ (ბ) ნოვოროსიისკის კომიტეტის მეშვეობით დახმარებისათვის მიმართეს ვ. ი. ლენინს. ვ. ი. ლენინის მითითებით რუსეთის სფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ვ. ჩიჩერინმა მიიღო ღონისძიებები დაპატიმრებულ პროფკავშირულ ხელმძღვანელთა გადასარჩენად და დასაცავად. ისინი კვლავ ბათუმში დაბრუნეს.

ბათუმელმა მუშებმა ინტერვენტებზე დიდი გამარჯვება მოიპოვეს 1920 წლის 1 მაისს. ამ დღეს აზნაურის მოედანზე (ამჟამად ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანი) გამართული სადღესასწაულო დემონსტრაციის მონაწილეებმა მოითხოვეს და მიაღწიეს იმას, რომ ინგლისის სამხედრო გუბერნატორმა კუკ-კოლისმა საპყრობილიდან გამოუშვა აჭარის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი მოღვაწე ს. მეძმარიაშვილი (ს. გუბელი), რომელიც დაპატიმრებული იყო თეთრგვარდიელი გენერლის ლიახოვის მკვლელობასთან დაკავშირებით. ლიახოვი აგროვებდა ოფიცრებს ვრანგელის ჯარებისათვის.

ბათუმის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ წითელი არმიის მიერ ვრანგელის განადგურების ამბავს. ამასთან დაკავშირებით მეზღვაურებმა ბათუმის ნავსადგურში მდგარ გემებზე აფრიალეს საბჭოთა ალამი.

1921 წლის 17 მარტს, ჯერ კიდევ ქალაქში წითელი არმიის ნაწილების შემოსვლამდე, ბათუმის აჯანყებულმა მუშებმა და ჯარისკაცებმა ძალაუფლება ხელთ იგდეს და საპყრობილიდან გათავისუფლეს ბოლშევიკები. მათ მიერ შექმნილმა რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელშიც შედიოდნენ ს. ი. ქავთარაძე (თავმჯდომარე), ს. ა. მეძმარიაშვილი (გუბელი), ი. თ. სტურუა, ი. ა. პეცოვი, მ. ს. ტოროშელიძე და სხვები, აჭარა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა.



ზ ო რ ი ს ბამბეულის კომბინატში ხშირად ნახავთ დაზგებთან მოფუსფუსე ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებიც გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს ქსოვილის დამზადების სხვადასხვა პროცესებს, ყურადღებით ისმენენ გამოცდილი ოსტატების საუბარს. ესენი არიან გორის მეოთხე საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც აქ კვირაში ერთხელ საწარმოო სწავლებას გადიან და დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებს იძენენ.

აი ახლაც, სურათზე თქვენ ხედავთ სკოლის მოსწავლეებს ელენე წკრიალაშვილსა და მეგი მეყანწიშვილს, რომელებსაც საგრეხ საამქროში უფროსი ინჟინერი შ. ხმალაძე ესაუბრება.

ფოტო შ. კუკულავასი.

არა, ასე არ უნდა მოიქცეს ექიმი

თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის მუშამ მარგო ქირიამ ფაბრიკის დირექტორს გ. გამყრელიძეს მიმდინარე წლის 24 მარტს მიმართა თხოვნით — ოჯახური მდგომარეობის გამო სამუშაოდან გაეთავისუფლებინა ორი დღით. დირექტორმა ნება დართო და გათავისუფლა 25 და 26 მარტს. მ. ქირია საწარმოში აღარ დაბრუნდა, რის გამო ფაბრიკის აღმინისტრაციამ იგი, როგორც წარრეობდან თვითნებურად წასული, გაათავისუფლა ამ მუშაობიდან.

გავიდა თვეები. მ. ქირიამ ფაბრიკაში წარმოადგინა ფოთის საავადმყოფოს მთავარი ექიმის ქანთარიას მიერ გაცემული ცნობა:

